ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲚᲔᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 1987 Წ. № 217 (9628) ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲒᲐᲛᲝᲦᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 Ა�პᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲠᲘ ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ — ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲬᲐᲓᲒᲠᲐᲙᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲘ �თᲐᲛᲐᲖ ᲑᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ ᲡᲔᲕᲘᲚᲘᲘᲓᲐᲜ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ:

ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲐᲠ ᲜᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲔᲑᲡ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲑᲨᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲡ ᲐᲛᲐᲮᲕᲘᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ ᲐᲓᲔᲕᲜᲔᲑᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲒᲐᲠᲔ ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ ᲐᲥ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲡ. ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲝᲑᲓᲐ ᲘᲒᲘ ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘᲡ „ᲠᲔᲐᲚᲘ“, ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲘᲡ ᲙᲚᲣᲑ „ᲞᲝᲠᲢᲝᲡ“-ᲗᲐᲜ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. „ᲠᲔᲐᲚᲘ“ ᲙᲘ, ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲫᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ. ᲐᲛᲘᲗ ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲛᲐ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲗᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲜᲐᲙᲘ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲐ.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲝᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲭᲐ-

ᲘᲮ. ᲒᲕ.-4 ᲒᲕ.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲤᲚᲐᲒᲛᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“-Ს ᲛᲔ-20000 ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 70-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲛᲐ.

ᲒᲐᲜᲣᲖᲝᲛᲔᲚᲘᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ-ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ. „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲘᲛᲗᲐᲕᲘᲗᲕᲔ ᲘᲧᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲬᲧ ᲓᲐ ᲥᲝᲛᲐᲒᲘ. ᲐᲡᲔᲗᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ. ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ. „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲣᲭᲔᲠᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲜᲪᲘᲠᲣᲚ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲪᲮᲘᲪᲔᲑᲐ-ᲒᲐᲯᲐᲜᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲔᲚᲕᲐ-ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲡᲔᲕᲘᲚᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲓᲒᲐ Ა. ᲙᲐᲠᲐᲠᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ Გ. ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲓᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐ.

50-Ე ᲡᲚᲔᲚᲐᲖᲔ ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲛᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲡᲪᲜᲝ.

ᲐᲛᲠᲘᲒᲐᲓ, ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ 6:5 ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ.

ᲜᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲡ

ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ, ᲒᲣᲜᲓᲘ, ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ

ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲡᲕᲔᲓᲠᲘ



ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲮᲓᲔ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲖᲔ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲗᲐᲜ ᲑᲔᲓᲘᲪ ᲒᲬᲧᲐᲚᲝᲑᲓᲔᲡ, ᲗᲝᲠᲛᲔ ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲘᲪ ᲙᲘ ᲕᲔᲠ ᲐᲦᲬᲔᲕᲡ ᲛᲘᲖᲜᲡ.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲔᲓᲔᲮᲐᲣᲠᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲔᲡ, ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲙᲚᲔᲑᲐ. ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐᲪ ᲑᲔᲯᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲯᲔᲠᲘ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲒᲣᲚᲛᲝᲓᲒᲘᲜᲔᲓᲐᲪ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲔᲓᲘ ᲐᲠ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲪ ᲛᲫᲘᲛᲔ-ᲛᲫᲘᲛᲔᲓ ᲛᲘᲓᲘᲓᲝᲓᲐ ᲬᲘᲜ. ᲣᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲘ ᲘᲛᲘᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲔᲡ ᲑᲘᲭᲘ ᲮᲔᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲔ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐᲝ.

ᲡᲮᲕᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲥᲜᲔᲑ ᲤᲐᲠ-ᲮᲛᲐᲚᲘᲪ ᲓᲐᲔᲣᲧᲐᲠᲐᲗ, ᲒᲣᲚᲘ ᲒᲐᲡᲢᲧᲓᲝᲛᲓᲐᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲖᲔ ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲝᲕᲬᲠᲝᲓᲜᲔᲜ. ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲣᲒᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲝᲕᲬᲠᲝᲓᲜᲔᲜ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲮᲓᲔ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲚᲘᲔᲠᲛᲐ ᲯᲔᲠ „ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲨᲘ“ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲪᲘᲗᲕᲝᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ, ᲐᲮᲚ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲚᲘᲐᲠᲝᲜ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ „ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲑᲔᲑᲡ“ ᲒᲐᲣᲡᲬᲠᲝᲠᲓᲔ.

ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲡ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ, ᲠᲐᲓᲐ ᲓᲐᲒᲘᲛᲐᲚᲝᲗ ᲓᲐ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲔᲐ. ᲖᲝᲒᲛᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲛᲘᲖᲜᲐᲡ, ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲖᲝᲒᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲐᲛᲚᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐᲛᲡᲙᲔᲜ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲯᲘᲜᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲛᲔᲢᲘ, „ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲘ“—ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ, ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲩᲐᲠᲝᲑᲔᲜ, „ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲘ“ — ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ ᲘᲪᲐᲕᲔᲜ ᲗᲐᲕᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ. ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲔᲡᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲡ...

ᲒᲣᲠᲐᲛᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲨᲘᲨᲐᲓ ᲝᲠᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐᲗ, ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲐᲩᲜᲓᲐᲗ, ᲛᲐᲜᲐᲛ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲗ ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲔᲔᲑᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ. ᲔᲠᲗᲘ ᲒᲠᲝᲜᲓᲝᲚᲔᲚᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲔᲜᲙᲝ ᲘᲧᲝ, ᲛᲔᲝᲠᲔ — ᲕᲘᲢᲔᲑᲡᲙᲘᲚᲘ ᲙᲐᲜᲘᲒᲘᲜᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲙᲚᲔᲠᲛᲝᲜ-ᲤᲔᲠᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲣᲠᲐᲛᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲡ ᲡᲣᲠᲓᲐᲗ, ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲕᲘᲡ ᲠᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ, ᲕᲘᲜ ᲣᲤᲠᲝ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲘᲧᲝ

ᲘᲮ. ᲒᲕ.-3 ᲒᲕ.

ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲖᲔ:

„ᲨᲔᲛᲝᲒᲗᲐᲕᲐᲖᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ“

ᲘᲥᲜᲔᲑ ᲔᲡᲔᲪ ᲒᲐᲕᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲝᲗ

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲮᲐᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲓᲐᲔ, ᲘᲥᲐᲪ, ᲘᲛᲐᲕᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲝᲜ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲔᲑᲘ. ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲮᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲮᲚᲝᲛᲝᲔᲚᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲮᲝᲛ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲒᲕᲐᲮᲐᲠᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ.

ᲞᲔᲜᲠᲘ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ, ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲛᲝᲜᲢᲝ-ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲡ ᲛᲣᲨᲐ.

ᲒᲕᲘᲛᲠᲐᲕᲚᲝᲡ!

ᲜᲐᲜᲐᲢᲠᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ



ᲠᲝᲛ ᲘᲪᲝᲓᲔᲗ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜ ᲮᲐᲜᲡ ᲔᲚᲝᲓᲜᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲘᲩᲑᲝᲡᲜᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲡ — ᲡᲐᲜᲘᲩᲑᲝᲡᲜᲝ ᲐᲣᲖᲡ. ᲜᲘᲩᲑᲝᲡᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲣᲖᲘ ᲮᲝᲛ ᲘᲡᲔᲕᲔ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ. ᲓᲐ ᲐᲘ, ᲜᲐᲜᲐᲢᲠᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲓᲒᲐ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲛᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲜᲘᲩᲑᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ-ᲡᲐᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲑᲐᲖᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ — ᲝᲠᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ, ᲔᲠᲗᲘ — ᲡᲐᲑᲐᲘᲓᲐᲠᲝ ᲜᲘᲩᲑᲝᲡᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲓ. ᲐᲥ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ „ᲓᲘᲓ“ —ᲝᲗᲮ ᲓᲐ ᲠᲕᲐᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐᲜ ᲔᲙᲘᲠᲐᲕᲔᲑᲡᲐᲪ. ᲐᲥᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲮᲨᲘᲠᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ. ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲪ.

ᲚᲔᲘᲚᲐ ᲛᲔᲡᲮᲘ ᲝᲠ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲗ

ᲐᲨᲨ-Ს ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ.

ᲩᲘᲙᲐᲒᲝ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚ ᲚᲔᲘᲚᲐ ᲛᲔᲡᲮᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲔᲚᲘ ᲮᲐᲙᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲚᲐᲓ ᲡᲣᲚ ᲠᲐᲦᲐᲪ 62 ᲬᲣᲗᲘ ᲓᲐᲡᲭᲘᲠᲓᲐ. ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲘᲐ 6:1 ᲓᲐ 6:0. ᲚᲔᲘᲚᲐ ᲛᲔᲡᲮᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲬᲧᲕᲘᲚᲘᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲨᲘᲪ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘᲐ ᲡᲕᲔᲢᲚᲐᲜᲐ ᲞᲐᲠᲮᲝᲛᲔᲜᲙᲝ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲣᲔᲢᲛᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ.

ᲚᲘᲢᲚ-ᲠᲝᲙᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲘᲣᲬᲧᲔᲑᲝᲓᲘᲗ ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ ᲖᲕᲔᲠᲔᲕᲐ ᲐᲥ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲩᲔᲙᲘᲜᲘ ᲘᲧᲝ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲡ ᲮᲓᲐ — 6:0, 1:6, 6:3.

ᲩᲔᲚᲔᲯᲘᲙᲘ — ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ

ᲡᲔᲣᲚᲘ. ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲜᲔᲜ ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲚᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔ ᲕᲐᲟᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲘ. ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢ ᲔᲢᲐᲞᲖᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ, ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ, ᲐᲨᲨ-ᲡᲐ ᲓᲐ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ. ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲐᲠᲗᲝᲜᲘ ᲔᲕᲠᲝ�პᲐ — ᲐᲖᲘᲐ ᲬᲚᲔᲣᲚᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔᲓ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ. ᲢᲠᲐᲡᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲖᲘᲣᲠ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲡᲤᲝᲠᲘᲡ ᲡᲠᲣᲢᲔᲖᲔ ᲒᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲗ ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘᲡ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲬᲘᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲓᲐ. ᲢᲠᲐᲡᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲓᲐ

...ᲓᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲕᲘᲜ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝᲓ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲝᲠᲩᲘ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲔᲑᲘ, ᲒᲐᲠᲔᲗ ᲙᲘ...

ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ მოსწავლეთა საკავშირო თამაშებზე წელს საქართველოს მოზარდმა მოჭადრაკეებმა, კერძოდ გოგონებმა, თავი ვერ გამოიჩინეს, ჭაბუკებიც V ადგილს დასჯერდნენ. ამიტომ გასაგები იყო ის დიდი ინტერესი, რომელიც საქართველოს მოსწავლეთა წლევანდელმა ჩემპიონატმა გამოიწვია. ჩემპიონატში უძლიერესი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ. ტურნირს ჩვეული სტუმართმოყვარეობით უმასპინძლა ბათუმმა.

რესპუბლიკის მოსწავლეთა პირველობა ის შეჯიბრებაა, რომელიც გვიჩვენებს რისი პატრონები ვართ და რა პერსპექტივები გვაქვს.

გოგონათა და ჭაბუკთა ტურნირებში 16-16 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

გოგონებში ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძირითადად თეა ლანჩავასა და სოფიკო ნიკოლაძეს შორის წაიმართა. ისინი აშკარად გამოირჩეოდნენ დანარჩენებისგან. შეჯიბრების ბოლო ტურამდე ლიდერობდა ლანჩავა, რომელიც ნახევარი ქულით უსწრებდა მეტოქეს, მაგრამ ბოლო ტურში იგი ეკა კემულარიასთან დამარცხდა, ნიკოლაძემ კი ნინო ხარლამიდს სძლია და 13 ქულით ზედიზედ შესამედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის სახელი. ქუთაისელი მოჭადრაკის სოფიკო ნიკოლაძის (მე-15 საშუალო სკოლა, VIII კლასი, მწვრთნელი ლამარა ჩიბურდანიძე) გამარჯვება სავსებით კანონზომიერია. მისი პარტიები გამოირჩევა დიდი ფანტაზიითა და სილამაზისაკენ სწრაფვით. ახალგაზრდა მოჭადრაკის თამაში უფრო სრულყოფილი გახდება, თუ იგი მეტს იმუშავებს სალებიუტო რეპერტუარზე, და, რაც მთავარია, ფიზიკურად მომძლავრდება.

ნიჭიერი გოგონაა თეა ლანჩავა (იგი ახლახან გადმოვიდა ქუთაისიდან და თბილისის პირველი საშუალო სკოლის VIII კლასში სწავლობს), მაგრამ მის თამაშში შეინიშნება იმპულსურობა, პოზიციის ზერელე შეფასება, გაუმართლებელი აჩქარება. ამას თეამ მომავალში აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება.

9,5-9,5 ქულით III-IV ადგილები გაიყვეს მარინე გაგნიაშვილმა (თბილისის 117-ე საშუალო სკოლის მე-11 კლასი) და ეკა კემულარიამ (ოჩამჩირის მე-3 სკოლის IX კლასი). 9-9 ქულით V-VI ადგილებზე არიან მირანდა თავაძე (თბილისის 175-ე საშუალო სკოლა, XI კლასი) და საქართველოს ჩემპიონი უმცროსი ასაკის გოგონათა შორის ნინო ხურციძე (თბილისის 132-ე საშუალო სკოლა, VII კლასი).

ჭაბუკთა ტურნირში ყველას აჯობა საქართველოს ჩემპიონმა, ზუგდიდის მე-4 საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელმა ალექსანდრე დგებუაძემ (მწვრთნელი ნ. შოგირაძე), რომელმაც 11,5 ქულა მოაგროვა. სანდრო გამართული პოზიციური სტილით, დინჯად და საიმედოდ თამაშობს, ასე რომ, მისი წარმატებაც სავსებით კანონზომიერია. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა შოთა კუჭუხიძე (ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის VIII კლასი). ნიჭიერმა ჭაბუკმა დაგვარწმუნა, რომ მას უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შეჯიბრებაში შემთხვევით არ დაუკავებია პირველი ადგილი. 11 ქულა მოაგროვა აკაკი იაშვილმაც (თბილისის 171-ე საშუალო სკოლა, IX კლასი), რომელსაც დამატებითი მაჩვენებლის მიხედვით III ადგილი ხვდა წილად. 10,5 ქულით IV ადგილი დაიკავა რომან სიჭინავამ (ცხაკაია, მე-5 საშუალო სკოლა, VIII კლასი). იაშვილი და სიჭინავა საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები არიან, ამიტომ მათგან უფრო მეტს ველოდით. 9,5 ქულით V ადგილზეა თემურ მასხარაშვილი (ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლის X კლასი). 8,5 ქულით VI ადგილი დაიკავა გრიგოლ გოგოლაძემ (ჩოხატაურის მე-4 საშუალო სკოლის XI კლასი).

სოფიკო ნიკოლაძე, თეა ლანჩავა და შოთა კუჭუხიძე მონაწილეობას მიიღებენ კადეტთა შორის (1972 წელსა და შემდეგ დაბადებულნი) გამართულ 1988 წლის საკავშირო პირად პირველობაში, I-VI ადგილებზე გასული მოჭადრაკეები კი საბჭოთა კავშირის 1988 წლის გოგონათა და ჭაბუკთა პირადი პირველობის შესარჩევ შეჯიბრებაში გამოვლენ. ეს ტურნირი დეკემბერში თბილისში გაიმართება.

ტურნირზე ყურადღება მიიქციეს თბილისელებმა იამზე თავურმა, თამარ ფაჩულიამ, მაია გრიგალაშვილმა, დიმიტრი ჯანგობეგოვმა, ბაკურ თავაძემ, სამტრედიელმა ანა გელაშვილმა, ქუთაისელმა სოფიკო ტყეშელაშვილმა, ჩოხატაურელმა გივი ქორიძემ, ქუთაისელმა ალექსანდრე ყაშაშვილმა, გურჯაანელმა იოსებ კვირიაშვილმა. იშვიათი ტაქტიკური აზროვნება გამოამჟღავნა 9 წლის ბათუმელმა დიანა დარჩიამ, რომელმაც ლამაზი კომბინაციური თამაშისთვის სპეციალური ჯილდო დაიმსახურა.

ნორჩ მოჭადრაკეთა მომზადების დონე უფლებას გვაძლევს იმედის თვალით შევხედოთ მომავალს... მაგრამ რატომაა, რომ ისინი მოსწავლეთა საკავშირო პირველობებზე იშვიათად აღწევენ წარმატებებს?

მიზეზი ბევრია, მაგრამ ამჯერად ერთს დავასახელებ. **ჩვენს მოჭადრაკეებს არ ჰყოფნით მორალურ-ფსიქოლოგიური სიმტკიცე, არც მიზანდასახული ბრძოლის უნარი აქვთ. გულსატკენია, რომ ხშირად 13-14 წლის ბავშვები ცინიკური გულგრილობით აადგილებენ ფიგურებს წინ და უკან და არასაკადრისი საქციელის — გარიგების საშუალებით ცდილობენ კორექტივების შეტანას სატურნირო ცხრილში.** უნებურად გვახსენდება დიდი რუსთველის სიტყვები „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი“. მართლაც, შეუძლებელია ღირსეული მწვრთნელის აღზრდილმა მოჭადრაკემ მსგავსი რამ იკადროს. სწორედ ასეთებად **მშობლებიც. ისინი ყველა შეჯიბრებაზე თან დაჰყვებიან შვილებს.** თუ მშობელი ჩუმი, უპრეტენზიო, ტაქტიანი ქცევით კეთილ ატმოსფეროს ქმნის და თავისი შვილის კარგი გულშემატკივარია, მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ, საქმე ის არის, რომ უფრო **ხშირად ისინი ყოვლად გაუმართლებელ ინიციატივას იჩენენ, ერევიან მათთვის გაუგებარ სპეციფიკურ საკითხებში, უკიდურესად ძაბავენ ისედაც ძაძაბულ ატმოსფეროს, შეულს აღვივებენ აღსაზრდელებში. ყოფილა შემთხვევა, მშობელს ხელი შემოუკრავს დამარცხებით ისედაც აღელვებული შვილისთვის.** ამას მხოლოდ მშობლის შვილისადმი მომთხოვნელობით ვერ ავხსნით — ეს უფრო მეშჩანური სულისა (მაპატიონ ზოგიერთებმა) და დაბალი შინაგანი კულტურის ბრალია.

მოჭადრაკეთა არასპორტულ, უფრო ზუსტად, არასაკადრის საქციელზე, ზოგიერთი მწვრთნელის საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულებაზე და მშობელთა უმსგავსო მოქმედებაზე ადრეც არაერთხელ დავვიწერია, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ კმარა. ალბათ უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება გვმართებს.

ᲡᲣᲚᲘᲙᲝ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

---

10 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ 70-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ



ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ საქართველოს მილიციის ისტორიაში უნარიანი ორგანიზატორისა და ჰუმანისტი ხელმძღვანელის სახელი დატოვა რესპუბლიკის ჩეკისტთა ერთ-ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა, საქართველოში ცხენოსნობის ეროვნული სახეობების აღორძინების გულმხურვალე ენთუზიასტმა კაპიტონ ნაჭყებიამ. კ. ნაჭყებია მეორე მსოფლიო ომამდე ჯერ აფხაზეთის, შემდეგ აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობდა, მერე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეა, 50-იან წლებში იგი სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, შემდეგ კი სიცოცხლის ბოლომდე თბილისის სახელმწიფო იპოდრომის დირექტორი იყო, რომლის დამაარსებელი თავად გახლდათ.

ომის შემდგომ წლებში კ. ნაჭყებიამ ხელი მოჰკიდა ცხენოსნობის ეროვნული სახეობების აღდგენას და სპეციალური სახელმძღვანელოც გამოსცა ცხენოსნური თამაშების დამუშავებული წესებით. მისი თაოსნობით ჩატარდა პირველი რესპუბლიკური შეჯიბრებებიც. სურათზე, რომელსაც დღეს გთავაზობთ, კ. ნაჭყებია საგანგებო ორიგინალურ პრიზს გადასცემს ომისშემდგომი წლების ერთ-ერთ საუკეთესო მხედარს ალექსანდრე (საშა) დარასელიას. ფოტო „ლელოს“ არქივიდანაა და გადაღებულია 1951 წელს, დელისის მინდორზე, სადაც შემდეგ ახლანდელი იპოდრომი გაშენდა.

„ᲛᲗᲔᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲗ — ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔ!“

ᲛᲘᲐᲡᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ, ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐᲡ, ᲡᲐᲠᲔᲚᲙᲝᲡ ᲯᲐᲚᲐᲑᲝᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ საბინაო მეურნეობის სამმართველომ (უფროსი გურამ დიდბარიძე) ჯანმრთელობის V საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით ჩაატარა საოჯახო შეჯიბრება „მთელი ოჯახით — სტარტზე“. ასპარეზობაში ჩაება ქალაქის 9 საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტის წარმომადგენელი 13 ოჯახი. არ მონაწილეობდა მხოლოდ საბურთალოს საბინაო ტრესტი.

პროგრამაში იყო ცურვა, პნევმატური შაშხანით სროლა, ესტაფეტა ცურვაში, ბურთის კალთაში ტყორცნა და ბაგირის გადაძალვა. პირველი ადგილი დაიკავა პეტრე მიასნიკოვის ოჯახმა (ლენინის რაიონი). მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ ოლეგ ჭანტურიას (26 კომისრის რაიონი) და ვიტალი საპელკოს (გლდანის რაიონი) ოჯახები.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი.

„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: გთხოვთ მიპასუხოთ არის თუ არა სავალდებულო ახალ სამსახურში წარვადგინო დახასიათება ძველი სამსახურიდან?

გ. ᲑᲣᲖᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ფიზკულტურის მეთოდისტი.
თბილისი.

�პᲐᲡᲣᲮᲘ: შრომის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ძველიდან ახალ სამუშაო ადგილზე დახასიათების წარდგენას. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ შინაგან საქმეთა ორგანოები, სადაც დახასიათების წარდგენა სავალდებულოა. სხვა დანარჩენ შემთხვევაში მოქალაქისთვის მთავარი დოკუმენტია შრომის წიგნაკი.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘᲡ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ

ᲛᲐᲛᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲖᲔ

ალეკო ქილიტაური 58-ე საკალათბურთო სკოლის IX კლასში იყო, როცა დაწყებითი კლასების გუნდებს წვრთნიდა. ბიჭს უკვე ჰქონდა მწვრთნელის ალღო, თუმცა კი ბევრ რამეში მაინც მამას, კალათბურთის ცნობილ სპეციალისტს გივი ქილიტაურს ბაძავდა. წელს ალეკო ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩარიცხულთა შორის ვერ მოხვდა, სამაგიეროდ ახალბედა მწვრთნელმა ახლახან ისეთი გამოცდა ჩაბარა, ბევრ სტაჟიან კოლეგას შეშურდება — სწორედ მას ანდეს კრასნოდარში ჩატარებულ საკავშირო ტურნირზე ამ სკოლის მერვეკლასელთა გუნდის წაყვანა, რომელსაც იგი სექტემბრიდან ავარჯიშებს (თავდაპირველად გუნდის მწვრთნელი მამამისი გივი ქილიტაური იყო). ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ამ გუნდმა 1985-86 წლებში საქართველოს პირველობაში გაიმარჯვა (თავის ასაკში) და საბჭოთა კავშირის პირველობა მოიგო მინი კალათბურთში...

კრასნოდარში თბილისელებმა ყველა თამაში დამაჯერებელი ანგარიშით მოიგეს. დაამარცხეს კრასნოდარი — პირველი (75:64) და მეორე (77:22), ეისკის (88:62), მაიკოპის (69:53) და უფის (77:66) კალათბურთის სპეციალიზებული სკოლის გუნდები. ქართველთა გუნდმა კალათბურთის სპეციალისტებისა და მაყურებლების სიმპათია დაიმსახურა, როგორც დისციპლინიანმა და ორგანიზებულმა კოლექტივმა. იმის გამო, რომ თბილისელები აშკარად ჯობდნენ მეტოქეებს, ტურნირის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ჩვენი კალათბურთელები დანარჩენი გუნდების ნაკრებისთვის შეეხვედრებინათ. ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ბრძოლა დაძაბულად წარიმართა. თბილისელები თავიდან დაწინაურდნენ და ტაიმი მოიგეს. თამაშის მეორე ნახევარში ნაკრებმა ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ თბილისელები კვლავ გააქტიურდნენ და შეხვედრა ანგარიშით 74:59 მოიგეს. საუკეთესო თავდამსხმელისთვის დაწესებული ერთადერთი პრიზი ჩვენი გუნდის ლიდერმა იგორ მურაიტოვმა მიიღო. აღსანიშნავია, რომ იგორმა, რომელიც უკვე თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა შემადგენლობაშია, უფის გუნდთან 7 სამქულიანი სროლა შეასრულა და ამ თამაშში გუნდს 36 ქულა შესძინა. მოწონება დაიმსახურა გუნდის მწვრთნელმა ალეკო ქილიტაურმა, რომელმაც მისი ასაკისთვის შეუფერებელი სიდინჯით წარმართა გუნდის ტაქტიკური ბრძოლა.

— როგორ სწავლობენ ბიჭები? — ვკითხეთ გეოგრაფიის მასწავლებელს მანანა რამიშვილს, რომელიც გუნდს კრასნოდარში ახლდა.

— თითით საჩვენებელი კლასია. ბიჭებმა დიდი ხანია უარყვეს ზარმაცების ლოზუნგი: „სამიანი და ჯანმრთელობა“. ორი ფრიადოსანია დანარჩენები — ოთხოსნები.

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ: გამარჯვებული გუნდი და მისი ახალგაზრდა მწვრთნელი ალეკო ქილიტაური (მარჯვნივ).

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝᲓ

ამას წინათ ქ. ბათუმში გაიმართა სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მეოცე მოწვევის მეორე სესია.

სესიამ განიხილა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით გაწეული მუშაობა და დასახა მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. გურგენიძემ.

კამათში მონაწილეობდნენ ქ. ბათუმის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე კ. გუგუშვილი, აჭარის დოსააფის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე გ. გელავა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ბერიძე და სხვები.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ ქალაქის სპორტული ორგანიზაციები პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან, განათლების ორგანოებთან ერთად იღვწიან ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მოძრაობის გასაშლელად. შესაბამისად გაიზარდა ფიზკულტურული კოლექტივების, სპორტული სექციების და მათი წევრების რაოდენობა, დღეს იგი 57 ათას კაცს აღწევს. ქალაქის 10 სპორტულ სკოლაში და 3 სპორტულ საზოგადოებაში შრომობს 246 ფიზკულტურის სპეციალისტი, 3 700-ზე მეტი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და მწვრთნელი, 2 600 მსაჯი. ითქვა ისიც, რომ ქალაქში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარება ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს დღევანდელ მოთხოვნებს. ნაკლოვანებები შეიმჩნევა ფიზკულტურულ-მასობრივ მუშაობაში, შეჯიბრების ორგანიზაციასა და ჩატარებაში, სპორტსმენთა მომზადებაში; სათანადო დონეზე არ დგას მოსახლეობაში სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საკმარისი ყურადღება არ ეთმობა მშდ კომპლექსში სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადებას. შესამჩნევად შესუსტდა სპორტული მუშაობა სტუდენტთა შორის. საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე სპორტის ბევრ სახეობაში დაბალ შედეგებს აჩვენებენ ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის წარგზავნილები. მიზნობრივად არ ყენებენ საწარმოების, სასწავლებლების, დასვენების პარკების სპორტულ მოედნებს.

სესიამ განხილულ საკითხზე მიიღო გადაწყვეტილებები, დასახა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული გზები.

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲣᲠᲕᲐᲜᲘᲫᲔ.

ბათუმი.

რჩეულთა ხვედრი

(დასასრული)

და გურამ გედეხაური ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდში ჩაირიცხა.

ახლა ამ ნდობის გამართლება იყო საჭირო, მით უფრო, რომ ქვეყნის ნაკრების წევრს სულ სხვა მოთხოვნებს უყენებენ. გურამმა თვითონაც კარგად იცოდა, რაც იტვირთა, იცოდა ისიც, მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვება ოლიმპიადის საგზურს რომ მოუტანდა, ოლიმპიადაზე გამოსვლა კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ ღირსეულთა ხვედრი და ყველა სპორტსმენის სანუკვარი ოცნებაა.

გურამს ნაკრებში ბევრი მეგობარი და კეთილისმსურველი ჰყავს, მაგრამ იმ დღეებში მას მთელი საქართველო და, ცხადია, მშობლიური სოფელი სართიჭალა ქომაგობდა. ფინალური ბრძოლის მოგების შემდეგ იგი იტყვის: „თვალწინ მაშინვე სოფელი წარმომიდგა, ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები. წარმოვიდგინე, ამ ცნობას ჩემიანები როგორ შეხვდებოდნენ. ვხედავდი მათ სახეებს, ვგრძნობდი მათ სიხარულს და გული სიამაყით მევსებოდა. გამარჯვება დიდი ბედნიერებაა, თანაც პირველი გამარჯვება, მაგრამ მე ორმაგად ბედნიერი ვიყავი. ერთი იმიტომ, რომ ჩემპიონი გავხდი და მეორეც — გულშემატკივრების, ხალხის, ქვეყნის ნდობა გავამართლე“. დიახ, ეს უკვე გამარჯვებულმა ფალავანმა თქვა, მაგრამ ვიდრე გაიმარჯვებდა, ათასი სიძნელის გადალახვა მოუხდა, ფინალური ორთაბრძოლა მოიგო, თანაც მასზე არანაკლებ ძლიერ მეტოქესთან, ამერიკელ დენის კოზლოვსკისთან.

იმ სამმა თუ ოთხმა დღემ სიზმარივით გაიარა. თბილისში დაბრუნებულ ჩემპიონს ბრძოლის დეტალები არც კი ახსოვდა. განსაკუთრებით მწვავე ეპიზოდები მოგვიანებით გაიხსენა. სამაგიეროდ დღევანდელ დღესავით ახსოვს ის წუთი, როცა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი გადასცეს. ეს მედალი მხოლოდ სანახევროდ იყო მისი, მეორე ნახევარი მან კლერმონ-ფერ ნშივე „გაუნაწილა“ თავის მწვრთნელსა და ერთგულ გულშემატკივრებს და ამით თითქოს ვალი გაისტუმრა.

გურამ გედეხაური მიზანდასახული სპორტსმენია. ეს მარტო ჩვენი აზრი არ გეგონოთ, მისი მწვრთნელი თამაზ რეხვიაშვილიც ასე ფიქრობს. ერთი ნატვრა მას უკვე აუხდა — მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მეორე ნატვრის ასახდომად დროა საჭირო, ოლიმპიადამდე კი ნახევარ წელზე მეტია დარჩენილი. გურამს კიდევ ერთი მიზანი აქვს — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი დიპლომიანი სპეციალისტი უნდა გახდეს. მონდომებული და შრომისმოყვარე ახალგაზრდისთვის არც ეს სიმაღლე იქნება დაუძლეველი.

ნოდარ გუგუშვილი.

სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 47-ე ჩემპიონატი

ამოცანა დამწყებ მოჭადრაკეებს

ერთდღიანი დასვენების შემდეგ თბილისის ჭადრაკის სასახლეში კვლავ ჩაირთო საჭადრაკო საათები.

დღითიდღე იმატებს დაძაბულობა ტურნირში, შეჯიბრება უფრო საინტერესო და მიმზიდველი ხდება. მოჭადრაკეები, შეიძლება ითქვას, მიჯაჭვულნი არიან დაფებს, ოდნავი განმუხტვის უფლებას არ აძლევენ საკუთარ თავს.

VIII ტურში გამონაკლისი მხოლოდ შაფრანსკა—მატვეევას პარტია იყო, რომელშიც მეტოქენი უკვე მე-15 სვლაზე დაზავდნენ.

ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი ნინო გურიელი თეთრებით ეთამაშებოდა ვიტებსკელ რაისა ეიდელსონს. ქართველმა დიდოსტატმა კარგად ჩაატარა მთელი პარტია, ორ ფიგურაში ეტლი და ორი გამსვლელი პაიკი დაიტოვა, მაგრამ ოდნავ აჩქარდა და ტემპი დაკარგა. ამავე დროს, ეიდელსონმა გააქტიურა თავისი მეფე. საბოლოოდ ეს პარტიაც ყაიმით დამთავრდა.

ნანა იოსელიანის მეტოქე მინსკელ ელმირა ხოროვეცი იყო. ნანამ თეთრებით დებიუტშივე მიიღო უკეთესი პოზიცია, რომელიც შემდეგ თანდათან გათანაბრდა, მაგრამ ხოროვეცს მაინც დარჩა იზოლირებული პაიკი. მხედრების ენდშპილში სსრ კავშირის ჩემპიონმა რთული გზა აირჩია — მეტოქეს ფიგურა „შესთავაზა“, მაგრამ მას არ შეეძლო ამ ძღვენის მიღება, ვინაიდან შემდეგ ერთბაშად სამ პაიკს ჰკარგავდა. იოსელიანმა ძლიერად, მართლაც დიდოსტატურად ჩაატარა ენდშპილი, მხედარი ლაზიერის ფრთაზე გადაისროლა და ფაქტიურად სამი ზედმეტი პაიკი დარჩა. უიმედო პოზიციაში მინსკელმა ოსტატმა საათი გააჩერა.

ეს ნანასთვის მეტად საჭირო გამარჯვება იყო, იმიტომ, რომ IV ტურიდან მოყოლებული მას პარტია აღარ მოუგია, ერთგვარი ჩავარდნა ჰქონდა. ამ ერთმა ქულამ კი იგი კვლავ ლიდერი გახადა, ოღონდ ახლა სატურნირო ცხრილს მასთან ერთად კიდევ ორი მოჭადრაკე უდგას სათავეში, თუმცა ამაზე ქვემოთ.

საინტერესო გამოდგა ორი ახალგაზრდა მოჭადრაკის — ბაქოელი აინურ სოფიევასა და ქეთევან არახამიას შეხვედრა. გათამაშდა სიცილიური პარტიის სვეშნიკოვის ვარიანტი. სოფიევამ წამოიწყო სობაში ციტნოტიც მოახლოვდა. ეიდელსონმა გააქტიურა თავისი მეფე. საბოლოოდ ეს პარტიაც ყაიმით დამთავრდა.

ნანა იოსელიანის მეტოქე მინსკელ ელმირა ხოროვეცი იყო. ნანამ თეთრებით დებიუტშივე მიიღო უკეთესი პოზიცია, რომელიც შემდეგ თანდათან გათანაბრდა, მაგრამ ხოროვეცს მაინც დარჩა იზოლირებული პაიკი. მხედრების ენდშპილში სსრ კავშირის ჩემპიონმა რთული გზა აირჩია — მეტოქეს ფიგურა „შესთავაზა“, მაგრამ მას არ შეეძლო ამ ძღვენის მიღება, ვინაიდან შემდეგ ერთბაშად სამ პაიკს ჰკარგავდა. იოსელიანმა ძლიერად, მართლაც დიდოსტატურად ჩაატარა ენდშპილი, მხედარი ლაზიერის ფრთაზე გადაისროლა და ფაქტიურად სამი ზედმეტი პაიკი დარჩა. უიმედო პოზიციაში მინსკელმა ოსტატმა საათი გააჩერა.

ეს ნანასთვის მეტად საჭირო გამარჯვება იყო, იმიტომ, რომ IV ტურიდან მოყოლებული მას პარტია აღარ მოუგია, ერთგვარი ჩავარდნა ჰქონდა. ამ ერთმა ქულამ კი იგი კვლავ ლიდერი გახადა, ოღონდ ახლა სატურნირო ცხრილს მასთან ერთად კიდევ ორი მოჭადრაკე უდგას სათავეში, თუმცა ამაზე ქვემოთ.

საინტერესო გამოდგა ორი ახალგაზრდა მოჭადრაკის — ბაქოელი აინურ სოფიევასა და ქეთევან არახამიას შეხვედრა. გათამაშდა სიცილიური პარტიის სვეშნიკოვის ვარიანტი. სოფიევამ წამოიწყო

კომბინაცია, მოიგო პაიკი, სამაგიეროდ ქეთინომ კონტრთამაში და ორი კუს უპირატესობა მიიღო. პოზიცია ორივე მოჭადრაკისგან ბევრ ფიქრს მოითხოვდა. ამან ერთგვაროვად დაუზარალა მეტოქეები—ისინი მძაფრ ციტნოტში მოექცნენ. დემონსტრატორები ვერც კი ასწრებდნენ სვლების გადაადგილებას და ძნელი დასადგენი იყო, რა ხდებოდა დაფაზე. ბოლოს დაფაზე დაიწერა — „ყაიმი“. როგორც შემდეგ გამოირკვა, პარტიაში მუდმივი ქიში აღინიშნა.

ლვოველ ირინა ჩელუშკინასთან შეხვედრაში როგორღაც გადაღლილი ჩანდა გორელი ციალა ქასოშვილი (ეტყობა მასზე იმან იმოქმედა, რომ წინა დღეს, როცა სხვები ისვენებდნენ, მან გამოტოვებული პარტია ითამაშა ზოია ელჩუკთან და ძალების აღდგენა ვეღარ მოასწრო). ქასოშვილმა დასაწყისშივე პასიური პოზიცია მიიღო, შემდეგ თითქოს გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ ჩელუშკინას მაინც დარჩა გამსვლელი პაიკი და სწორედ ამის გამო ქართველმა ოსტატმა თავი დამარცხებულად ცნო.

ელენა ახმილოვსკაიამ თეთრებით აშკარა უპირატესობა მიიღო ალმაათელ გულნარა სახატოვასთან შეხვედრაში, მაგრამ შემდეგ რამდენჯერმე არაზუსტად ითამაშა და უპაიკოდ დარჩა. სახატოვამ მთელი ძალები ახმილოვსკაიას მეფის ფრთაზე გადაისროლა და შამათის მუქარა შექმნა. თბილისელმა დიდოსტატმა საათი გააჩერა.

შამათი „იდგა“ გალინა სტრუტინსკაია—ელენა ახმილოვსკაიას პარტიაშიც. სტრუტინსკაიას მგ3+-ის შემდეგ ლვოველმა დიდოსტატმა ლამაზი გამარჯვება მიიღოცა მეტოქეს. დაფაზე ისეთი საინტერესო პოზიცია წარმოიქმნა, რომ თავისუფლად შეიძლება ამოცანის სახით გამოვიყენოთ დამწყებ მოჭადრაკეებთან მეცადინეობისას — შამათი სამ სვლაში.

VIII ტურის სხვა პარტიები ასე დამთავრდა: სემიონოვა—ელჩუკი — 0:1, პოლნარიოვა—ზაიცევა — 0,5:0,5, გალიამოვა—ველიხანლი — 1:0.

აი, როგორი მდგომარეობაა სატურნირო ცხრილის პირველ ნახევარში 8 ტურის შემდეგ: I-III. ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, ალისა გალიამოვა — 5,5-5,5 ქულა, IV-VII. ელენა ახმილოვსკაია, მარტა ლიტინსკაია, ზოია ელჩუკი, რაისა ეიდელსონი — 5-5, VIII. აინურ სოფიევა — 4,5, IX-XII. ქეთევან არახამია, ციალა ქასოშვილი, გულნარა სახატოვა, ლიდია სემიონოვა — 4-4.

თამარ ხუბაშვილი,
საერთაშორისო ოსტატი.

გუშინ...

გთავაზობთ IX ტურის იმ პარტიების ტექნიკურ შედეგებს, რომლებიც გაზეთის დასაბეჭდად გაშვებამდე დამთავრდა: ლიტინსკაია—შაფრანსკა — 1:0, არახამია — პოლნარიოვა — 1:0, მატვეევა — სოფიევა — 1:0, ელჩუკი — სტრუტინსკაია — 0,5:0,5, სახატოვა — სემიონოვა — 1:0, ეიდელსონი — ახმილოვსკაია — 1:0, ქასოშვილი—იოსელიანი — 0:1, ველიხანლი — ჩელუშკინა — 1:0.

ახლა რესპუბლიკური

თბილისში გამართულ საქართველოს ფრენბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის ზონალური ასპარეზობის პარალელურად მიმდინარე რესპუბლიკის დედაქალაქის პირველობისთვის 4-4 გუნდი ირჩევდა სხვადასხვა ქვეჯგუფებში. მათგან დასკვნით შეხვედრებში გამოხვლის უფლება მოიპოვეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის, სპი-ს, თსუ-სა და თბილისის განათლების სამმართველოს კოლექტივებმა.

დაძაბული შეხვედრების შედეგად საქართველოს ჩემპიონის სახელისათვის ბრძოლის უფლება მიიღეს ფიზკულტურის ინსტიტუტისა (მწვრთნელი ა. ნეგრებეცკი) და განათლების სამმართველოს (მწვრთნელი ა. იგნატოვი) წარმომადგენლებმა. მათ შორის „დავაში“ გადაწყდა ქალაქის ჩემპიონის ბედიც, 2:0 — გაიმარჯვეს ფიზკულტურის მომავალმა სპეციალისტებმა. დეკემბერში თბილისის, თელავისა და სოხუმის ზონების გამარჯვებულები (2-2 გუნდი) გააგრძელებენ ბრძოლას საქართველოს პირველობის მედლებისათვის.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა

დასასრულს მიუახლოვდა სსრ კავშირის 1987 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში. უკვე გამოვლინდნენ საიუბილეო გათამაშების პრიზიორები, გამოვლინდა ის ორი გუნდიც, რომლებიც საგაისოდ უმაღლეს ლიგას დატოვებენ. გუშინდლამდე გაურკვეველი იყო მხოლოდ ჩემპიონის საკითხი, მაგრამ მოსკოვის „სპარტაკმა“ დაამარცხა „გურია“ (1:0) და გაინაღდა ოქროს მედლები.

გთავაზობთ განვლილი ტურის თამაშების სტატისტიკურ მონაცემებს.

„შახტიორი“ — „ყალგირისი“ 1:1 (1:1). ბურთები გაიტანეს სმოლიანინოვმა („შახტიორი“) და ივანაუსკასმა („ყალგირისი“).

გააფრთხილეს ვილნიუსელი ივანაუსკასი.

დუბლიორებმა ზედიზედ ჩაატარეს ორივე წრის მატჩები. ორივე თამაში „ყალგირისმა“ მოიგო — 3:0 და 4:1.

ცსკა — „ზენიტი“ 1:1 (0:1). პირველი ბურთი ლენინგრადელმა დინილოვმა გაიტანა, ხოლო არმიელმა ფოკინმა 11-მეტრიანით გაათანაბრა ანგარიში. ამ მატჩის შემდეგ საბოლოოდ გაირკვა ცსკა-ს ბედი. გასასვლელი ადგილი ლიგაში ასპარეზობს.

გააფრთხილეს ლენინგრადელები ბირიუკოვი და დოლგოპოლოვი, აგრეთვე, არმიელი ტატარჩუკი.

დუბლიორები — 2:3.

„დნეპრი“ — „უალგირისი“ 2:1 (2:0). ამ მატჩში სამივე გოლი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირებმა გაიტანეს, ორი — დნეპროპეტროვსკელმა პროტასოვმა და ერთი — ვილნიუსელმა ნარბეკოვასმა.

დუბლიორები — 2:2.

„შახტიორი“ — „დინამო“ (მინსკი) 0:0.

დუბლიორები — 3:1.

„ტორპედო“ — „ნეფთჩი“ 1:1 (1:1). ბურთები გაიტანეს ი. სავიჩევმა („ტორპედო“) და პონომარიოვმა („ნეფთჩი“).

გააფრთხილეს ბაქოელი აბდულაევი.

„მეტალისტი“ — „არარატი“ 1:0. გოლი გაიტანა ბურიაკმა. 34 წლის ლეონიდ ბურიაკი გ. ფედოტოვის სახელობის „100-იანთა კლუბის“ რიგით 45-ე წევრი გახდა.

გააფრთხილეს ერევნელი კირაკოსიანი. მინდვრიდან გააძევეს „მეტალისტის“ ფეხბურთელი ვაშჩენკო.

I ლიგის საგზურებისთვის

II ლიგის ფეხბურთელთა ზონებში გამარჯვებული გუნდების საკავშირო ფინალურ ტურნირებში უკვე გამოვლინდა ერთი გუნდი, რომელიც გაისად მონაწილეობას მიიღებს I ლიგის გათამაშებაში. ესაა სიმფეროპოლის „ტავრია“, რომელმაც სმოლენსკში ქულა აიღო ადგილობრივ „ისკრასთან“ შეხვედრაში — 3:3 და დაგროვა „ა“ ჯგუფში პირველი ადგილისთვის საჭირო ქულათა რაოდენობა.

კიშინიოვის „ნისტრუსა“ და ფერგანის „ნეფტიანიკის“ მატჩში გამარჯვება კიშინიოველ ფეხბურთელებს ხვდათ წილად — 2:0.

12 ნოემბერს ზონებში გამარჯვებულთა ტურნირი მთავრდება, სამტრედიის „ლოკომოტივი“ ამ დღეს თავის მინდორზე მიიღებს სიმფეროპოლის „ტავრიას“.



სპეციალური ჯილდო— მეკარეებისთვის!

როგორც ცნობილია, სეზონის საუკეთესო ფეხბურთელს პარიზის ჟურნალი „ფრანს ფუტბოლი“ სპეციალურ ჯილდოს — „ოქროს ბურთს“ გადასცემს. იგივე ჟურნალი „ოქროს ბუცით“ აჯილდოვებს ევროპის ქვეყნების ჩემპიონატების ყველაზე შედეგიან სნაიპერს, მაგრამ რატომღაც ივიწყებს საუკეთესო მეკარეებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, ქუჩასაც იმსახურებენ და ჯილდოებსაც.

ამ ხარვეზის გამოსწორებას აპირებს იფფჰს-ი (ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაცია), რომელსაც გაუმართლებლად მიაჩნია ის, რომ რაიმე ჯილდო არ მიუღიათ ისეთ ლეგენდარულ მეკარეებს, როგორიც იყვნენ ზამორა, პლანიჩკა, იაშინი, ბენქსი, ვიქტორი, ძოფი და სხვები. გადაწყდა სპეციალური ანკეტით გამოვლინდეს 1986-87 წლების სეზონის საუკეთესო მეკარე, რომელსაც ახალი ჯილდო „ოქროს ხელთათმანი“ გადაეცემა.

ორიოდე სიტყვა ამ ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებ. იფფჰს-ი დაარსდა 1983 წელს. მიზნად იგი ფეხბურთის ისტორიის უკეთ შესწავლას და თამაშის პოპულარიზაციას ისახავს. 1985 წლიდან იგი გამოსცემს ჟურნალს, სახელწოდებით „11“. ფედერაცია აერთიანებს ექსპერტებს, ფეხბურთის ისტორიკოსებს და სხვადასხვა ქვეყნების ჟურნალისტებს. ჟურნალი ყოველ ნომერში ბეჭდავს სტატისტიკურ ცნობებს, ძველი გუნდებისა თუ ცალკეული ფეხბურთელების ფოტოსურათებს და ა. შ.

როგორ გამოვლინდა 1986-87 წლების საუკეთესო მეკარე? იფფჰს-მა 5 კონტინენტის ფეხბურთის ექსპერტებსა და ჟურნალისტებს დაუგზავნა ანკეტები. მათ უნდა დაესახელებინათ სამ-სამი უძლიერესი ფეხბურთელი. ამ ანკეტებიდან ცხადი ხდება, გასაოცარია ბელგიელ ჯან-მარი პფაფი (ბელგიის ნაკრები და მიუნხენის „ბაიერნი“). ბელგიელ მეკარეს აქამდეც ბევრჯერ დაუმსახურებია ჯილდოები, სიმბოლურ ნაკრებებშიც შეუყვანიათ, მაგრამ ესოდენი დაფასება ჯერ არ ხვდომია.

43 ქულით მეორე ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირისა და მოსკოვის „სპარტაკის“ მეკარემ რინატ დასაევმა. 30 ქულით მესამეა იტალიის ნაკრებისა და მილანის „ინტერის“ ახალგაზრდა მეკარე ვალტერ ზენგა, რომელსაც სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

დანარჩენი მეკარეების შედეგები: 4. ჰარალდ შუმახერი (გელზენკირხენის „შალკე 04“) — 29 ქულა, 5. ნეველ სოუტჰელი (უელსის ნაკრები და ლივერპულის „ევერტონი“) — 15, 6. რენე მიულერი (გდრ-ის ნაკრები და ლაიფციგის „ლოკომოტივი“) — 14, 7. პიტერ შილტონი (ინგლისის ნაკრები და „დერბი ქაუნთი“) — 12, 8. ბადუ ელზაკი (მაროკოს ნაკრები და ესპანეთის „მაიორკა“) — 11, 9-10. რობერტო ფერნანდესი (პარაგვაის ნაკრები და კალის „დეპორტივო“) და იოზეფ მლინარჩიკი (პოლონეთის ნაკრები და „პორტუ“) — 8-8 ქულა, 11. ნერი პუმპიდუ (არგენტინის ნაკრები და ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტი“) —7 და 12. კარლოსი (ბრაზილიის ნაკრები და სან-პაულუს „კორინთიანსი“) — 6 ქულა.

დაუბრუნდა მწვანე მინდორს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცნობილი საფეხბურთო კლუბი „შალკე-04“ წლეულს აშკარად სუსტად გამოდის თავისი ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში. გუნდის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა შემადგენლობის გაძლიერება, რისთვისაც მიიწვია... 42 წლის კლაუს ფიხტერი.

ვეტერანმა ფეხბურთელმა ჯერ კიდევ შარშან დაამთავრა თავისი სპორტული კარიერა და ბუნდესლიგის თავისებური რეკორდი დაამყარა: ჩემპიონატებში 541 კალენდარული მატჩი ჩაატარა. შემდეგ კ. ფიხტერი „შალკეს“ მწვრთნელის თანაშემწე გახდა, მაგრამ ახლა კვლავ უნდა დაუბრუნდეს მწვანე მინდორს.

ამის თაობაზე გუნდის უფროსმა მწვრთნელმა რ. შაფსტელმა განაცხადა: „ფიხტერი ბრწყინვალე მცველია, ჩვენ კი სწორედ დაცვის ხაზის უხეში შეცდომების გამო ვაგებთ. მას კიდევ შეუძლია სხვებზე უკეთ თამაში“.

ინტერესი არ ნელდება

დასასრული

დრაკის. სახეებს მსხვილი პლანით პარტიის დამთავრების მომენტში. კასპაროვის სახეზე თითქმის მუდმივაყოფილება ჩანს, კარპოვი ირიქით ყოველთვის მშვიდად უყურება. ერთ-ერთ ინტერვიუერძოდ მე-6 პარტიის შემდეგ ურნალს ჰკითხეს: „როგორ ფიქრობთ, პარტიის შემდეგ რითი იყო გამოწვეული კასპაროვის აღელვება?“ კარპოვმა უპასუხა: „მეექვსე პარტია კასპაროვის დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა და პარტიის შედეგმა, რა თქმა უნდა, მისი დაკმაყოფილება გამოიწვიაო“. შეკითხვაზე თუ როგორ ხსნის კარპოვი იმ ფაქტს, რომ წინა მატჩისაგან განსხვავებით ახლანდელ მატჩში საერთოდ არ ხვდება ცაიტნოტებში, მან თქვა, რომ ამ ხარვეზებზე სპეციალურად მუშაობდა და დაწვრილებით არ სურს გასცეს პასუხი მატჩის დამთავრებამდე.

ესპანეთის გაზეთები დაყოფილია კარპოვისა და კასპაროვის მომხრეებად. უდიდესი გაზეთის „ელ პაისის“ კორესპონდენტი კასპაროვის მომხრეა. ამ რამდენიმე დღის წინ მან დაწერა, რომ მეორე პარტიაში კარპოვი არაეთიკურად მოიქცა, როცა თავის მოწინააღმდეგეს არ უთხრა, გადაყვანა საათი. მეორე დღესვე კარპოვის მომხრე ერთმა გაზეთმა რისხვა დაატეხა ამ გაზეთს: „ელ პაისის“ კორესპონდენტმა ჯერ ჭადრაკის თამაშის წესები ისწავლოს, შემდეგ დაიწყოს გაზეთში მატჩის გაშუქება და ეთიკაზე საუბარიო.

თეატრში, სადაც მატჩი მიმდინარეობს, გამოყოფილია ერთი ოთახი საჭადრაკო ლიტერატურის გასაყიდად. აქ სხვა წიგნებთან ერთად გამოჩნდა კასპაროვის ახალი წიგნი „გარდაქმნის შვილები“, რომელიც მომენტალურად დაიტაცეს. წიგნის გამსაღებლები მადრიდს დაუკავშირდნენ ახალი ტირაჟის გამოსაგზავნად.

მეშვიდე პარტიამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ორივე მოჭადრაკემ კარგი თამაში აჩვენა და მაყურებლებმაც პარტიის დამთავრებისას მათ ოვაცია გაუმართეს. ამ პარტიის დროს, ერთ მომენტში კასპაროვს მძიმე პოზიცია ჰქონდა. კარპოვს შეეძლო პარტიის გადადებამდე მიეღო გადამწყვეტი უპირატესობა, ხოლო გადადებულ პარტიაში მინიმალური უპირატესობის გამოყენება შეუძლებელი იყო. მსოფლიო ჩემპიონმა შეუპოვარი დაცვით აიმს მიაღწია. „კასპაროვს, იმ მომენტში, როდესაც კარპოვმა აიმი შესთავაზა, როგორც იქნა სახეზე ღიმილი დაუბრუნდაო“. აღნიშნავდა მეორე დღეს „ელ-პაისი“. ამ პარტიის შედეგმა კასპაროვს ძალა შემატა, ხოლო კარპოვს კი გუნება გაუფუჭა, ვფიქრობ მერვე პარტიის შედეგიც მეშვიდე პარტიის ლოგიკური გაგრძელება იყო, სადაც კარპოვმა ძალზე უღიმღამოდ ითამაშა, განსაკუთრებით პარტიის მეორე ნახევარი, ხოლო კასპაროვი კი აშკარად თავის სტიქიაში იყო.

ახლა გაგაცნობთ ზოგიერთი ექსპერტის აზრს:

დიდოსტატი ვოლფგანგ უნციკერი მიუნხენის გაზეთ „ზიუდდოიჩე ციაიტუნგში“ წერს, რომ ახლა კარპოვი იმაზე უკეთესად გამოიყურება, ვიდრე წინა მატჩებში: „ლონდონსა და ლენინგრადში გამართულ მატჩში კარპოვმა გვიჩვენა თავისი საჭადრაკო და ფიზიკური სისუსტის დაძლევის გასაოცარი მაგალითი. სევილიის მატჩი კი იმას გვიჩვენებს, რომ ექსჩემპიონმა ადრინდელი მარცხი გაითვალისწინა და ახლა იგი მართლაც ჩინებულად თამაშობს“.

იუგოსლავიელ დიდოსტატ მილან მატულოვიჩს ძალიან მოსწონს მატჩის მეორე პარტია: „კარპოვმა მშვენივრად, ალიოხინის სტილით ითამაშა. იგი არ მოერიდა ფიგურის შეწირვას, საინტერესო ტაქტიკურ გართულებებს მიმართავ. მსოფლიო ჩემპიონი ასე მწარედ არავისთან დამარცხებულა. იმას, რომ კასპაროვს საათის გადართვა დააგვიწყდა, რა თქმა უნდა, არავითარი გაელენა არ მოუხდენია პარტიის მსვლელობაზე“. ასეთი რამ, როგორც მიმომხილველები წერენ, მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში მეორედ მოხდა. ბოტვინიკ-სმისლოვის მატჩში ბოტვინიკს რთულ პოზიციაში დაავიწყდა საათის გადართვა და პარტია წააგო. არ გამართლდა ახალგაზრდა ამერიკელი დიდოსტატის მაქსიმ დლუგის ვარაუდი, რომ ამ კაზუსს შემდგომში დიდი უნდა დაეშნია კასპაროვის თამაშისთვის.

შვედი საერთაშორისო ოსტატი აქსელ ორნსტეინი სტოკჰოლმის გაზეთ „სვენსკა და გბლადეტში“ წერს: „ზოგიერთი მოელოდა, რომ კასპაროვისა და კარპოვის სამი ხანგრძლივი მატჩის შემდეგ მათი მეოთხე შეხვედრა მოსაწყენი იქნებოდა, პირიქით კი მოხდა: ორთაბრძოლა მეტად მძაფრად მიმდინარეობს და დიდ ინტერესს იწვევს“.

ინგლისელმა საერთაშორისო ოსტატმა ჯონ ტისდელმა რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „სპორტში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს იმ მეტოქეთა შერკინება, რომლებიც მთელი თავით მაღლა დგანან დანარჩენებზე. ასეთები იყვნენ, მაგალითად, მოკრივეები მუჰამედ ალი და ჯო ფრეზიერი, ჩოგბურთელი ბორონ ბორგი და ჯონ მაკინროუ. ასეთივე ვითარებაა ჭადრაკშიც. კასპაროვმა უკვე ორჯერ დაამარცხა კარპოვი, მაგრამ ვის შეუძლია თქვას, რომ ამ უკანასკნელმა მსოფლიო ჩემპიონობის დაბრუნების შესაძლებლობა დაკარგა?!“

დიდოსტატი მარიოტი რომის გაზეთ „რეპუბლიკაში“ წერს: „პირველი პარტიების შემდეგ კარპოვს თავისი ძალების ისეთივე დიდი რწმენა ჰქონდა, როგორიც პრესკონფერენციის დროს (ზაფხული, იტალია). ეს მაფიქრებინებს, რომ კაცი, რომელსაც შეუძლია სრულიად უიმედო სიტუაციაში ზედიზედ სამი პარტია მოიგოს (გახსოვთ, ალბათ, ეს მოხდა შარშანდელ მატჩში), ყველაფერს მოახერხებს“.

საერთაშორისო ოსტატი ალდო ჰაიკი პარიზის გაზეთ „ფიგაროში“ ასეთ აზრს გამოთქვამს: „კასპაროვისა და კარპოვის ყველა მატჩისთვის დამახასიათებელია მოულოდნელობები, სიურპრიზები, პარადოქსული სიტუაციები. ყველაფერი ის, რასაც ინგლისურად „სესპენსი“ (გაურკვევლობა) ჰქვია. ასე, რომ, კიდევ ბევრ მოულოდნელობას უნდა ველოდოთ.

გაზეთები ბეჭდავენ მსოფლიო ჩემპიონის დედის, კლარა კასპაროვას ნათქვამს: ეს მატჩი ჩემთვის ნიშნავს ორთვენახევრის გატარებას... სამზარეულოში! გარი თავს კარგად მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა საჭმელს მე ვუმზადებ“.

მიმომხილველები ამ მატჩში ყველაზე ეფექტურად თვლიან კარპოვის მიერ მეორე პარტიაში გაკეთებულ მე-9 სვლას. ზოგმა ეს არაჩვეულებრივ იმპროვიზაციადაც აღიარა. თვით კარპოვმა კი პრესკონფერენციაზე განაცხადა, ეს იმპროვიზაცია არ ყოფილა, იგი ხაგანგებოდ მზადდებოდა 1981 წლის მატჩისთვის კორჩნოის წინააღმდეგო. მაშინ, მერანოში, კარპოვს ამ სვლის გამოყენების საშუალება არ მისცემია, რადგან კორჩნოი სხვა პოზიციებს ირჩევდა. ის, რაც არ შედგა მერანოში, „ყუმბარასავით გავარდა“ სევილიაში.

მეთერთმეტე პარტია

ამ მატჩში უკვე მეექვსედ გათამაშდა გრიუნფელდის დაცვა. მე-15 სვლაზე მსოფლიოს ექსჩემპიონმა ახალი გაგრძელება აირჩია და პაიკი მოიგო. ლაზიერების გაცვლის შემდეგ თეთრებმა შეინარჩუნეს ზედმეტი პაიკი, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმაც გარკვეული კომპენსაცია მიიღო. კრიტიკულ სიტუაციაში კარპოვმა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა და ხარისხი დაკარგა. პარტია გადაიდო. კასპაროვს ზედმეტი ხარისხი და მოგების დიდი შანსი აქვს.

ა. კარპოვი — გ. კასპაროვი

გრიუნფელდის დაცვა

1. d4 ∂f6 2. c4 g6 3. ∂c3 d5 4. cd ∂:d5 5. e4 ∂:c3 6. bc ⚘g7 7. ⚘c4 c5 8. ∂e2 ∂c6 9. ⚘e3 0—0 10. 0—0 ⚘g4 11. f3 ∂a5 12. ⚘:f7+ ⚘:f7 13. fg ⚘:f1+ 14. ∂φ:f1 ⚘d6 15. ∂φg1 ⚘e6 16. ⚘d3 ⚘c4 17. ⚘:c4+ ∂:c4 18. ⚘f2 cd 19. cd e5 20. d5 ⚘h6 21. h4 ⚘d2 22. ⚘d1 ⚘a5 23. ⚘e1 b5 24. ⚘c2 ∂d6 25. ∂g3 ∂c4 26. ∂f1 ∂d6 27. ∂g3 ∂e4 28. g5 ∂φf7 29. ∂f1 ∂d6 30. ∂g3 ∂c4 31. ∂φf1 ∂φe7 32. ⚘c5+ ∂φf7 33. ⚘f2+ ∂φg7 34. ⚘f6 ⚘h6 35. ⚘c6? ∂a5 36. ⚘:b6 ∂:c6 37. ⚘c7 ⚘f8+ 38. ∂φe2 ⚘f7 39. ⚘d6 ⚘d7 40. ⚘c5 ∂a5 41. ∂f1.

პარტია გადაიდო.

კალათბურთელთა ინტერნაციონალური მეოცნებეობა

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი — საუკეთესო

კალათბურთელთა ამ შეჯიბრებას ტრადიციულად მოსკოვის უნივერსიტეტი თავკაცობს. იგი იწვევს გუნდებს, ატარებს ტურნირს და პრიზებსაც თვითონ აწესებს. ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად ერთი სავალდებულო პირობაა დასაცავი. გუნდი უსათუოდ სტუდენტური უნდა იყოს და რომელიმე სასწავლო დაწესებულებას წარმოადგენდეს.

წლევანდელ საკავშირო შეჯიბრებაში მოსკოვის უნივერსიტეტელებმა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი მიიწვიეს. იქ ჩვენს სტუდენტებს ადგილობრივი კალათბურთელების გარდა ლატვიის უნივერსიტეტისა და ქალაქ ბრესტის სტუდენტთა კოლექტივი დახვდათ.

ოთხთა ტურნირის პირველ მატჩში საქართველოს წარმომადგენლებმა ლატვიელებს აჯობეს — 74:69 (38:31). გამარჯვებულ კოლექტივში საუკეთესო სნაიპერი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი იყო — 27 ქულა.

მეორე შეხვედრაში (ბრესტის გუნდთან) ისევ ქართველმა კალათბურთელებმა იმარჯვეს — 88:84 (47:41). ყველაზე შედეგიანი მოთამაშე დავით დადიანი იყო — 24 ქულა.

ამასობაში მასპინძლებმაც ორი შეხვედრა მოიგეს და ფინალში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს შეხვდნენ. უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში წარმატება ქართველ სპორტსმენებს ხვდათ — 73:70 (37:33). ამ თამაშში ბესიკ ლიპარტელიანმა საუკეთესო სნაიპერული თვისებები გამოავლინა — 31 ქულა. მთავარი პრიზი გადაეცა ჩვენს გუნდს, რომლის ღირსებასაც იცავდნენ: ზურაბ ტომარაძე, შოთა უძილაური, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, დავით დადიანი, ზურაბ ლიპარტელიანი, ნოდარ შერვაშიძე, ერიკ მოველაძე, თემურ დათიკაშვილი, ვეფხია მაისურაძე და მოთამაშე მწვრთნელი ბესიკ ლიპარტელიანი (მეორე მწვრთნელი თემურ აბულაძე იყო).

ფინალურ მატჩში დამარცხებული მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი, ცხადია, მეორე ადგილზე გავიდა. აი, მესამე ადგილი კი ლატვიის გუნდს ერგო.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელთა კოლექტივი ამ ტურნირის ტრადიციული მონაწილე გახდა. თავის მხრივ ქართველი სტუდენტებიც ჩაატარებენ ანალოგიურ შეჯიბრებას და ამ გუნდებს თბილისში მოიწვევენ. ასე ჩაეყრება საფუძველი სტუდენტ კალათბურთელთა ინტერნაციონალურ მეგობრობას.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲔᲜ

ევროპის კალათბურთელ ქალთა საკლუბო ტურნირებში საბჭოთა კავშირის კოლექტივები საკმაოდ წარმატებით გამოდიან. ჩემპიონთა თასზე, მაგალითად, ნოვოსიბირსკის „დინამო“ ფინალისტთა ექვსეულში მოხვდა. მასთან ერთად საპატიო პრეზისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს: გფრ-ის „აგონმა“, ჩეხოსლოვაკიის „სპარტამ“, იუგოსლავიის „იადინსტვომ“, იტალიის „პრიმიჯიმ“ და საფრანგეთის „ვერსალმა“. ეს ექვსეული ორწრიან ტურნირს ჩაატარებს, პირველ ორ ადგილზე გასული კოლექტივები 23 მარტს სუპერფინალში ითამაშებენ.

ლილიან რონკეტის თასის გათამაშებაში თორმეტი უძლიერესი კლუბი გამოვლინდა. მათ შორის არიან ლენინგრადის „სპარტაკი“ და კიევის „დინამო“. ამ ტურნირის ნახევარფინალური შეხვედრები 10 და 17 თებერვალს ჩატარდება, ფინალი კი 3 მარტს — საბერძნეთის რომელიმე ქალაქში.

მეორე ტური

გაიმართა კალათბურთელ ვაუთა ევროპის ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩები.

პირველ ჯგუფში. საბერძნეთი-ჰოლანდია 102:62. ჰოლანდიელები სიმაღლით სჯობდნენ მეტოქეებს, მაგრამ ბერძნების შთავარი სნაიპერის გალისის ნეიტრალიზება ვერაფრით მოახერხეს. მან თავის გუნდს 29 ქულა შესძინა.

ინგლისი-ჩეხოსლოვაკია 103:101. ამ შეხვედრის შედეგი მიმომხილველებს ტურნირის ერთ-ერთ მთავარ სენსაციად მიაჩნიათ.

	თ.	მ.	წ.	ქ.
საბერძნეთი	2	2	0	4
ჰოლანდია	2	1	1	3
ინგლისი	2	1	1	3
ჩეხოსლოვაკია	2	0	2	2

მეორე ჯგუფი. ბულგარეთი — გფრ 93:88, იუგოსლავია-შვეიცარია 117:86.

იუგოსლავია	2	2	0	4
გფრ	2	1	1	3
ბულგარეთი	2	1	1	3
შვეიცარია	2	0	2	2

მესამე ჯგუფი. ესპანეთი-შვეიცარია 132:59, უნგრეთი-იტალია 73:101.

ესპანეთი	2	2	0	4
იტალია	2	2	0	4
უნგრეთი	2	0	2	2
შვეიცარია	2	0	2	2

მეოთხე ჯგუფი. სსრ კავშირის ნაკრები, რომელიც ამჟამად აშშ-ში იმყოფება ჯგუფური ტურნირის პირველ მატჩს 22 დეკემბერს გამართავს მოსკოვში ფინეთის ნაკრებთან. ამიტომ ამ ჯგუფში მხოლოდ ერთი მატჩი გათამაშდა. საფრანგეთმა დაამარცხა პოლონეთი 94:83.

20-ᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ

საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა გუნდმა აშშ-ში კიდევ ორი შეხვედრა ჩაატარა. 7 ნოემბერს იგი თამაშობდა ქალაქ ჩეპელჰილის სპორტის სასახლეში, რომელიც 20 ათას მაყურებელს იტევს. ჩვენების მეტოქე ამჯერად ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის გუნდი იყო. საბჭოთა კალათბურთელებმა ეს შეხვედრა დიდი აღმავლობით ჩაატარეს და გაიმარჯვეს 99:58 (52:32).

მეორე დღეს ისინი ბოულინგ-გრინში იყვნენ, სადაც მათ დასავლეთ კენტუკის უნივერსიტეტის გუნდი მასპინძლობდა. წარმატება ამ შეხვედრაშიც სტუმრებს ხვდათ წილად — 87:62 (38:35).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

„სპორტპროგნოზი“

45-ე ტირაჟის შედეგები (8-9 ნოემბერი)

1-1, 2-X, 3-X, 4-1, 5-X, 6-1, 7-X, 8-X, 9-1, 10-X, 11-1, 12-1, 13-1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

საქართველოს სპორტსახკომი, რესპუბლიკის ნიჩბოსნობის ფედერაცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ნიჩბოსანთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი
შოთა აკაკის ძე კურტანიძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲜᲢᲝᲜ ᲒᲔᲔᲖᲘᲜᲙᲘ

ᲫᲘᲣᲓᲝᲡ ისტორიაში ასეთი წარმატებებისთვის არც ერთ ევროპელს არ მიუღწევია. ჰოლანდიელი გიგანტი ანტონ გეეზინკი 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა აბსოლუტურ კატეგორიაში. ამას გარდა იგი სამჯერ მსოფლიოს და 21-ჯერ ევროპის ჩემპიონი იყო, ოთხჯერ ნიდერლანდების საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს, ერთხელ, 1962 წელს კი მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად გამოაცხადეს.

გეეზინკი ახლა 53 წლისაა და ცხოვრობს უტრეხტის მახლობლად სოფელ ჰამერენში. იგი უმთავრესად ახალგაზრდა ძიუდოისტებს ავარჯიშებს და სპორტის ამ სახეობის დიდ პროპაგანდისტად ითვლება. გეეზინკის დამსახურებაა, რომ ჰოლანდიის სკოლებში ძიუდო ფიზკულტურის სასწავლო პროგრამაშია შეტანილი. იგი ცხრა წიგნისა და სახელმძღვანელოს ავტორია. ამ წიგნებში დეტალურადაა აღწერილი ძიუდოს ისტორია, სწავლების მეთოდიკა, მოცემულია სასარგებლო რჩევა-დარიგებანი.

ანტონ გეეზინკს განზრახული აქვს კენჭი იყაროს ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობაზე, და დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირის შესაბამისი ორგანიზაციების მხარდაჭერით მიაღწევს კიდეც მიზანს.

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ 7 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილია სსრ კავშირის სახტელერადიოს საკუთარი კორესპონდენტის კ. მაკეიკას წერილი ანტონ გეეზინკზე. სათაურით: „თქვენ ქვეყანაში მე ბევრი მეგობარი მყავს“, რომელშიც ერთ ადგილას მოყვანილია ჰოლანდიელი სპორტსმენის სიტყვები:

„ვყოფილვარ თუ არა საბჭოთა კავშირში? დიახ, ვყოფილვარ, თანაც არაერთხელ. მე თქვენს ქვეყანაში ბევრი კარგი მეგობარი მყავს. ესენია საბჭოთა კავშირის ნაკრების ოფროხი მწვრთნელი გენადი კალეტკინი, ეროვნული ფედერაციის თავმჯდომარე პიოტრ ბოგდანოვი, ჩემი ქართველი კოლეგა ანზორ კიკნაძე. სამწუხაროდ ამ უკანასკნელს ვერასოდეს ველარ ვნახავ, ვინაიდან გარდაცვლილია, მაგრამ ჩვენი შეხვედრები მუდამ მემახსოვრება“.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380096
[illegible] ქუჩა, ლენინის ქ. 14.

„ᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66405

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

[illegible] 08091